წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა 21 თებერვალი 1916 წ. № 40

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კ., უკანასკნელზე—10 [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო **წელიწადი მეორე.**

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

დღეს 21 თებერვალს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და **სოფელ ახალქალას** (ლეჩხუმის მაზრა) გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **დეპუტატად ნამყოფ**

თავად ვარლამ ლევანის ძის
გელოვანის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს **მეუღლე მისი ნინო გიორგის ასული გელოვანისა.** პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი** 12—85.

(წ.—)

სახალხო სახლში

21 თებერვალს 1916 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

ბაიყუში

ფარსი 2 მოქმ. ავ. ცაგარლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მარგველაშვილი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, გ. იმხნელი, გ. ჯაბაური, რამაზაშვილი და სხვანი.

II

რეჟ. გოცირიძე.

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობენ ქ-ნი ვერა ჯაჯანაშვილი; ბ-ნნი ვ. დიღმელაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ძიმისტარაშვილი, ვახ. ჯაბადარი და სხვანი.

დასასრულ გაიმართება ც ე კ ვ ა.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ფასი 40 კ.-დან **2 მანეთამდე.**

გამგე **კნ. ჯავახიშვილი.** ადმინისტრატორი **გიორგი ჩუბინაშვილი**

ბილეთები იყიდება ხაჩაიე „ძმურს ნუგეშში“

(5—42—5)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

თბილისის

საკომერციო ბანკის საბჭო

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1916 წლის 23 იანვარს,

თბილისის საკომერციო ბანკს ამიერიდან ეწოდება:

„კავკასიის ბანკი“

პირველი წელი **პირველი წელი**

მიიღება ხელის მოწერა

მიიღება ხელის მოწერა

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული
„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ე ქ ი მ ი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ომის ამბები

ომის დეპეშები

19—20 თებერვალი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კანგერის ტბის მიდამოებში გერმანელები საზღვაო ზარბაზნებს უშენდნენ სოფ. ლაპემეესა და მიგაუნცს. რიგის მიდამოებში გერმანელების ჰაეროპლანები ირევა და ყუმბარებს ისვრიან. მდ. დვინაზე, იკსკიულისა და ელიზენგოფის შუა, მოპირდაპირემ ჰაეროპლანებიდან რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. დვინსკთან, ილუკსტისა და პონევეჟის რკინის გზის მიდამოებში გერმანელები ოთხფუთიან ნაღმებს უშენენ რუსების ჯარს. სვენტენის ტბის მიდამოებში მოპირდაპირე მძიმე ზარბაზნებს უშენდა. რუსები მარჯვეთ უშენენ ზარბაზნებს ნოვო-ალექსანდროვსკსა და ტურმონტს. გალიციაში მდ. სტრიპას მიდამოებში გერმანელები ორჯელ შეეცადნენ რუსების თხრილებთან მიახლოვებას, მაგრამ მოიგერიეს.

კავკასიის ასპარეზი. ერძინჯანის მიმართულებით ოსმალები უკან დახევას განაგრძობენ. აქ რუსების ცხენოსნებმა იპოვნეს ოსმალებისაგან დატოვებული 4 ზარბაზანი. ბითლისის მიმართულებით ოსმალები კვლავ უკან იხევენ. რუსებმა აიღეს კამახი და ნარეკა-ვანქას მონასტერი, ბითლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით ათი ვერსის მანძილზე.

დასავლეთის ასპარეზი. დაბა ჩარტორისკის ჩრდილო რაიონში გერმანელები სცდილობდენ იერიშით წამოსულიყვნენ, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქმნენ.

კავკასიის ასპარეზი. ჩვენ თანდათანობით ვავიწროებთ მტერს. ბითლისის მიმართულებით მეზრუს რაიონში ოსმალნი შეეცადნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ამ რაიონში დღეს დღეობით კავკასიის არმიას ბრძოლა უხდება მეტისმეტად ცუდ პირობაში. გაუვალი გზები და თოვლ-ნამქერი ძლიერ ყინვასთან ერთად პირდაპირ საქმეს აჭირვებენ. ამ ღამის ცნობების თანახმად რუსებს აუღიათ ქალაქი ბითლისი დავლად დარჩათ 6 ზარბაზანი. ტყვედ წამოყვანილ ოსმალთა შორის 17 აფიცერია, მათ შორის ერთი პოლკის უფროსი.

ლონდონი, 18 თებერვალი. დილით იერიში მივიტანეთ იპრ-კომინის ხაზზე და რამდენიმე თხრილი ჩავიგდეთ ხელში, რაც პირველ თებერვალს დავკარგეთ. ფირორტისა და ბესინგის შუა ძლიერი საარტილერიო სროლაა.

პარიზი, 18 თებერვალი. საღამოთი მოსული ცნობა. ბელგეთში ჩვენმა არტილერიამ დაანგრია გერმანელთა თხრილები სტეენსტრეგის ჩრდილოეთით. სომისა და უაზოს შუა ბოვრენის რაიონში დავანგრიეთ მტრის საველე სიმაგრეები. შამპანში გერმანელთა მფრინავი ჩამოვაგდეთ. იგი მათსავე ხაზს იქით ჩამოეშვა ცეცხლ მოდებული. არგონებში საარტილერიო ცეცხლი გავუჩინეთ შეპის ტყეს. ვერდენის ჩრდილო რაიონში და ვევრში მტრის არტილერია თანდათანობით მკაცრს ხასიათს იღებს, განსაკუთრებით მორტომთან, პუავრეს მალლობთან და დუომონის რაიონში. უკანასკნელ რაიონში საარტილერიო ცეცხლს რამდენჯერმე მოჰყვა ქვეითი ჯარების იერიში. იერიშებს გაცოფებული ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. ყოველგან ჩვენი არტილერია თამამად უპასუხებს მტრისას. სენტ-მიელის ჩრდილო-აღმოსავლეთით სადგურ ვინიელს დავუშინეთ, როგორც გადმოგვცემენ, ცეცხლი რამდენიმე ადგილას გავაჩაღეთ, ამასთანავე მოგვიხვედრებია მატარებლისთვის, რომლის ორთქლმავალი აფეთქებულა. ზემო ალზასში ორთავე მხრით სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. უკანასკნელ ღამეში ჩვენმა მფრინავებმა 44 ყუმბარა ჩამოაგდეს სადგურ შამბლეში. ჰფიქრობენ, სადგური უნდა ძრიელ დაზიანებული იყოს. მფრინავნი მშვიდობიანად დაბრუნდნენ. სხვა და სხვა ადგილას კიდევ 40 ყუმბარა ჩამოაგდეს, სადგურ ბუნადოლფს მოახვედრეს 9 ყუმბარა.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე მყოფ ინგლისის მთავარ-შტაბის ცნობა. გუშინ ჩვენი ბრძოლის პირზე 20 ბრძოლა მოხდა ჰაერში. მტრის ზარალი გუშინ აღვნიშნეთ. საზვერად წასული ინგლისელების ერთი ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

ლონდონი. ოფიციალი ცნობა. გერმანელების ჰიდროპლანები გუშინ საღამოთი გამოჩნდა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებზე და რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. სამხედრო მნიშვნელობის ზარალი რამ არ მიუყენებიათ. მოკლულია ბავშვი.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პლევე სენატში დაინიშნა, ებოძა ტაინი სოვეტნიკობა და გოფმეისტრობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა მაგილოვის გუბერნატორი პილცი.

ნება დართეს მოკავშირე და ნეიტრალ სახელმწიფოებში გაზიდონ კარაკულის ტყავი და მაუდეულობა.

პარიზი, 19 თებერვალი. დღისით მოსული ცნობა. ვერდენის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლა და იერიშები გერმანელთა მხრით მთელი დღის განმავლობაში არ შეჩერებულა. იგი გაორკეცებულის სიმკაცრით სწარმოებდა. სოფ. დუომონის სექტორში რამდენიმე გააფთრებული იერიშების შემდეგ გერმანელებმა მოახერხეს სოფლის აღება. ბრძოლა აქ ჯერ არ დათავებულა. თითქმის ერთსა და იმავე დროს ამასთან ერთად იერიში მიიტანეს აღმოსავლეთით, მაგრამ მოგერებულ იქმნენ ჩვენი საარტილერიო და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით. გერმანელებმა დაიხიეს. მავთულებთან ბლომად დასტოვეს დახოცილნი. ვევრში გუშინ შეღამებისთანავე სასტიკი საარტილერიო სროლა ასტყდა. გერმანელებმა სცადეს იერიშით წამოსვლა, მაგრამ დროზევე შევაჩერეთ. მაასის დასავლეთით გერმანელები საარტილერიო ცეცხლს უჩენდნენ მალანკურისა და პონკურის რაიონებს. ლოტარინგიაში პარუასის სამხრეთ რაიონში გერმანელეიმა იერიში მიიტანეს მაგრამ მალე გავფანტეთ ყველა.

კოპენჰაგენი, 18 თებერვალი. ვენაში გამოქვეყნდა მთაწმინდის თავად მირკოს, გენერალ ვუკოტიჩისა და მინისტრების რადოვიჩისა, პოპოვიჩისა და ვესნიჩის მიერ ხელმოწერილი განცხადება „პოდგორიცა 4 თებერვალს“, ამით პირდაპირ უარყოფენ მიუშკევიჩის განცხადებას, ვითომც ზავის შესახებ წინადადება მთაწმინდის მთავრობის მიერ განგებით იყოთ. ამასთანავე გამოაქვეყნეს მეფე ნიკოლოზისა და ავსტრიის მთავრობის ტელეგრამები ამის შესახებ.

ლონდონი. 18 თებერვ. ლლოიდი იტყობინება, გერმანელთა წყალქვეშამ დალუპა ჩვენი ნაღმის მკრეფელი გემი.

რომი, 18 თებ. მტრის მცირე იერიში მარგონის მახლობლად სუგანოს ველეში მოგერებულ იქმნა. ჩვენმა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა რკინის გზის სადგურს ტებლახეს-იზონცოს მთელს ფრონტზე ავდარია. თოვლი მოდის, მოქმედება ბრკოლდება.

ათინა, 18 თებ. სტამბოლიდან იუწყებიან, აზრუმის დაცემამ ოსმალთა შორის აღელვება გამოიწვია. ყველანი შიშობენ, ვაი თუ ბაღდადიც აიღონ და რუსები და ინგლისელები ერთმანეთს შეუერთდნენ მესოპოტამიაში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენის გარშემო

„რ. ვ.“ ატყობინებენ: „პარიზში ვერდენიდან მოსულნი ამბობენ, მძიმე ზარბაზნების ღრიანცელი ხანგამოშვებით იმდენად აუტანელი იყო, რომ იერიშის მომლოდინე ჯარისკაცები ვეღარ ითმენდენ, ნერვიულ მდგომარეობის შესანელებლად ჰყვიროდნენ, ყიჟინობდნენ, რა არის დროებით მაინც ამით ჩაეკლათ შემზარავ სურათის შთაბეჭდილება. გერმანელები ისე მოდიოდნენ, როგორც გაცოფებული შეშლილნი, იარაღის ჩხარუნით ხმა მაღლა მოიმღეროდნენ: „Machlam Rein“-ს! პარიზელი სამხედრო მიმომხილველნი ჰფიქრობენ, ვერდენის მდგომარეობა გამოკეთდა, რადგანაც გერმანელთა იერიშები შეჩერებულ იქმნაო. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ ვითომც ეს უკანასკნელი ცდა იყო გერმანელთა მხრით და მათი ძალა საბოლოოდ გატეხილია. არა! გერმანელთ ჯერ კიდევ თავიანთ განზრახულებაზე ხელი არ აუღიათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ფრანგთა ხაზს გაარღვევენ. ამავე აზრს ადგიან პარიზის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთობა, სისულელეა ვიფიქროთ ვითომც გერმანელნი მოვაშიეთო. იგინი ამ ჟამად აღებულ პოზიციების გამაგრებაში არიან და რაწამს ძალღონეს მოიკრებენ, მძაფრი იერიშებით წამოვლენ, შესაძლებელია ბედისა და უბედობის გარდასაწყვეტადაო.

ამავე აზრს ადგია ინგლისური პრესა. იქაურ სამხედრო მიმომხილველთა აზრით მდგომარეობამ ფრიად სერიოზი ხასიათი მიიღო გარდამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა და საშინელების მოლოდინში უნდა ვიყოთო. რაც შეეხება გერმანელ პრესას, იგი უფრო თავდაჭერილია. არასფერს აზვიადებს, არც დიდს გამარჯვებითაა აღფრთოვანებული და არც დამარცხებით იტეხს გულსა. „Vossiche Zeit.“-ის მიმომხილველი დამშვიდებით ურჩევს მკითხველებს: მოთმინება იქონიეთ, გწამდეთ, გამარჯვებულნი ჩვენ ვიქნებით. ისეთი ციხეები, როგორიც ვერდენია ერთი დარტყმით არ ეცემიან. მძიმე არტილერიის მთავარი ხელმძღვანელობა მივანდეთ ჩვენს სახელოვანს ბეზელერს, რომელმაც ანტვერპენისა და ნოვოგიორგიევსკის ოპერაციებით უკვდავ ჰყო თავის სახელიო“.

რამდენად საშინელი ყოფილა ბრძოლა ვერდენთან, ეს იქიდანაც სჩანს, რომ, როგორც ფრანგული წყაროებიდან იტყობინებიან, გერმანელთ 45 ათასი კაცი დაჰკლებიათ.

ვერდენის ოპერაციები

პარიზიდან ცნობებია მოსული, გერმანელთა გააფთრებულ იერიშებიდან სჩანს მათ გარდაწყვეტილი აქვთ რათაც უნდა დაუჯდეთ ვერდენი აიღონ. გერმანელთა არტილერიის ცეცხლი გაცილებით ძლიერია და საშინელი, ვიდრე ფრანგთა არტილერიისა რომლესაც შამპანში იერიში მიიტანეს. ვერდენის გარშემო ახმაურებული არტილერიის ცეცხლი სიძლიერით აღემატება ყოველისფერს. იგი უმაგალითოა, მსგავსი ჯერ ისტორიას არ უნახავს. გერმანელთ ამ ოპერაციის დასაწყებად ჯერ კიდევ ქრისტიშობისთვეში მოუზიდნიათ უდიდესი ზარბაზნები, როგორც მაგალითად, 30—35 და 42 სანტიმეტრიანებია.

საზოგადო იერიშების დაწყებამდე მეზირში მოსულა იმპერატორი ვილჰელმი. აქ სამხედრო საბჭოს დაუდგენია იერიში. საბჭოს დასწრებიან მარშალი ბეზელერი და გენერალი დაიმლინგი. კვირა საღამოთი ვილჰელმს უბრძანებია გალაშქრება და სასტიკი იერიში. პირველსავე შეტაკებაზე ფრანგებმა 15 კილომეტრის სიგრძეზე დაიხიეს. სიღრმით 3—5 კილომეტრამდე. აღნიშნავენ ფრანგთა ჯარების დიდ სულოვნობას ამ დახევის დროს და საოცარს წესრიგს. ამის შემდეგ ბრძოლის პირი 8 კილომეტრზე შევიწროებულა, ჰორიზონტალური ხაზით ვერშელიდან მოყოლებული თვით ვერდენამდე. კრონპრინცს თვითეულ მეტრზე ხუთ-ხუთი კაცი დაუყენებია. ფრანგები მდგომარეობას საშიშად სთვლიან, ფრიად სერიოზულს, მაგრამ მთავარ შტაბს არ ეშინიან, მტკიცედ სწამს, გერმანელების ყოველ ნაბიჯს ძვირად დავუსვამთო. გაზეთები აქაც დასძენენ: მზგავსი იერიშები და სისხლის ღვრა მსოფლიო ისტორიამ არ უწყისო.

სალონიკის გარშემო

საბოლოოდ ირკვევა, გერმანელებს განგებ გაუვრცელებიათ ხმები ვითომც სალონიკის ოპერაციის დასაწყებად ემზადებოდნენ. გამოირკვა, ამით რომ თურმე ნამდვილ განზრახვათა დაფარვა ჰსურდათ. მთელს მაკედონიის ფრონტზე მათ და ბულგარებს ჰყოლიათ სულ 200 ათასი კაცი, სალონიკის გარნიზონი კი 250 ათასი კაცისგან შესდგება. ამასთანავე ყოველდღე მაშველი ჯარები მოდის შეუწყვეტლივ. ინგლისურ გაზეთების მიმომხილველნიც ერთხმად დასძენენ: ხმები, ვითომც ახლო მომავალში მაკენზენი დაეცემა სალონიკს, მოჭორილია და განგებ და განგებ გავრცელებულია, რადგანაც გერმანელებს არც ერთს ფრონტზე არ შეუძლიანთ ჯარების შემცირება და დიდ ზარბაზნების გადატანაც გაუჭირდებათო.

მესოპოტამიაში.

ბასრიდან ცნობები მოდის, ინგლისელები ფრიად ამაგრებენ პოზიციებს მესოპოტამიაშიო. გენერალი ელმერის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მისი ჯარების პოზიციები ოსმალთაგან დაშორებულია 600 მეტრზე. გენერალი ტოუნსენდი იუწყება, კუტელამართან ჩვენს ჯარებს საკმაო სურსათი აქვთო. მიუხედავად ზარალისა, იგი თამამად იკვებს თავს და იქნობამდინ გასძლებს, რომ მაშველ ჯარებს შეუერთდესო. საზოგადოდ ჰფიქრობენ, ჯართა შეერთება არც ისე დაახანებსო. ჯარებს ამბავი მისვლიათ აზრუმის დაცემის შესახებ, რასაც დიდად გაუხარებიათ და სულიერად აუმაღლებიათ. ნიშნად რუსების გამარჯვებისა მათ რამდენჯერმე გაუსვრიათ ოსმალთა პოზიციებისკენ.

უკანასკნელი ფოსტა

ვერდენის გარშემო.

ერთი სიმაგრის აღების შემდეგ, ვერდენთან მოქმედება თითქოს დასცხრა. ამბობენ, გერმანელებმა ვერ მოახერხეს აქ სწრაფის დაკვრით ფრანგების ჯარის გარღვევაო. გაზეთების სიტყვით, ვერდენის ბრძოლა მთელ საომარ პირის ბრძოლასთან არ არის დაკავშირებული.

ვერდენთან, საფრანგეთის სამხედრო წრეების აზრით, კვლავ მედგარი ბრძოლა ასტყდება. გერმანელები უსათუოდ შეეცდებიან ჯარის გარღვევას.

ახლათ ბითლისისაკენ.

„ნ. ვ.“-ს სიტყვით, რუსის ჯარი ახლათ-ბითლისისაკენ უკვე ორი კვირაა რაც წინ მიდის და მხოლოდ 50 ვერსი აქვს გავლილი. ამის მიზეზი უგზოობა ყოფილა.

ბრძოლის ველზე

ვერდენის ჩრდილოეთით და ვევრში დიდის სიმკაცრით განახლდა არტილერიის მოქმედება, რომელიც ამ სამ ოთხ დღეში რამოდენიმეთ განელდა. დუომონის რაიონში, გერმანელების ქვეითი ჯარი იერიშით წამოვიდა. შეტაკებები მკაცრ ხასიათს ღებულობს. ბრძოლა გამკაცრდა და გაზოგავდა არგონებშიაც შამპანშიაც. ზემო ალზასში ორთავე მხრიდან არტილერია მკაცრად მოქმედებს.

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე საყურადღებო არაფერი მომხდარა, გარდა ჩარტორისკის რაიონისა, სადაც გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ.

კავკასიის ასპარეზზე რუსები განაგრძობენ მოპირდაპირეთა დევნას. ბითლისის მიმართულებით მეზრის რაიონში ოსმალები შეტევას შეუდგნენ, მაგრამ ვერას გახდნენ, რუსებისაგან უკუგდებულ იქმნენ. რუსებმა აიღეს ბითლისი, ექვსი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. ტყვედ წამოიყვანეს 17 აფიცერი.

მეგრი.

თბილისი, 21 თებერვალი

ეკონომიური აღორძინებისკენ!

ჩვენი ეროვნული განვითარება შემცდარი გზით მიმდინარეობს. მეოთხედი საუკუნეა გაცხარებულად ვპოლიტიკანობთ, ყალბი და უნიადაგო სოციალ-პოლიტიკურ მცნებებით გატაცებულნი არამც თუ ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს გაბედნიერებას ვუქადით. ჩვენი ერი-კი საშინელ უძლურებას განიცდის.

დროა ამ მოვლენას ყურადღება მივაქციოთ და ჩვენი ეროვნული პოლიტიკა შესაფერად შევსცვალოთ.

შემცდარი, მეტად შემცდარია იმის იმედი, თითქო ჩვენს ფიზიკურად და სულიერათ დასუსტებულს, დაუძლურებულს ერს შეეძლოს სოციალ-პოლიტიური განვითარების ახალი გზის აღმოჩენა, თავის გაბედნიერება და სხვისი აშენებაც. თანამედროვე ეპოქა სასტიკი ბრძოლის და მეტოქეობის ხანაა. როგორც ერთი ერის ფარგალში, ისე ერთა შორის--ბრძოლა და მეტოქეობა ბატონობს. ვინც მეტს სიმტკიცეს, ენერგიას იჩენს ამ ბრძოლაში, გამარჯვებული რჩება და ვინც მხოლოდ ოცნებობს, სიტყვით და არა საქმით სცდილობს ქვეყნის გარდაქმნას, უმწეო და უძლური ხდება.

ჩვენს ეროვნულ დაქვეითებას ჩვენ მუდამ გარეშე მიზეზებით ვხსნით და თავს ვაიმედებთ—პოლიტიკური და სხვა პირობები ხელს არ გვიწყობსო.

ეს, რასაკვირველია, მხოლოდ თავის მოტყუილებაა. ისეთს პოლიტიკურ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, სხვა ერებმა ბევრი რამ გააკეთეს. და გააკეთეს იმით, რომ ისინი საქმიანობას ეწეოდენ, ეკონომიურ ცხოვრებას აუმჯობესებდენ, ერის ქონებრივ კეთილდღეობას ქმნიდენ. ჩვენ კი ვოცნებობთ მხოლოდ და ქვეყანა გვინდა დავაჯეროთ, რომ ჩვენი უბედურება გარეშე მიზეზებისაგან წარმოსდგება.

ვინ იქნება ხელის შემშლელი, რომ ჩვენმა მესაკუთრეებმა კულტურულ მეურნეობას ან სხვა რაიმე ეკონომიურ საქმიანობას ხელი მიჰყონ, ქონებრივად მოღონიერდენ და მით ეროვნული განძი, ქართული ტერიტორია, უცხო ელემენტის იერიშებისაგან იხსნან და დაიცვან.

ვინ გაუწევს წინააღმდეგობას ჩვენს ინტელიგენციას, თუ ის სიტყვით სამოთხის დამყარებას თავს მიანებებს და გლეხის მეურნეობის გასაუმჯობესებლად სოფელს მიაშურებს.

სხვა ქვეყნებში საზოგადოების კულტურული ნაწილი უპირველეს ყოვლისა ერის ეკონომიურ ცხოვრებას ემსახურება და მის გაუმჯობესობას სცდილობს. ტეხნიკური და პროფესიული ცოდნით შეიარაღებული ინტელიგენცია თავს დასტრიალებს მეურნეობას, ვაჭრობას, მრეწველობას. ჩვენში კი საზოგადოების „შეგნებული“ ნაწილის მოღვაწეობა იმაში გამოიხატება, რომ ის სთხზავს და ავრცელებს ისეთს იდეალებს, რომელიც არამც თუ ეროვნული ცხოვრების ეკონომიურ საფუძველს აძლიერებს, არამედ მას არღვევს და ანადგურებს.

დროა, ჩვენმა ერმა ამ საშინელ სოციალ-პოლიტიკურ ბურუსს თავი დააღწიოს და ფეხი შეადგას იმ გზაზედ, რომელიც ეკონომიურ აღორძინებისკენ მიდის. სოციალურ ცხოვრების საფუძველს ეკონომიური ურთიერთობა შეადგენს. ეკონომიურათ დაქვეითებული, დასუსტებული ერი, უძლურია ყოველგვარ შემოქმედებაში; ის ვერ დაიცავს ვერც თავის მიწას, ვერც თავის მშობლიურ სახლს და ენასა. ის ვერ შექმნის და ვერ გაამდიდრებს თავის ეროვნულ კულტურას.

ახალი იჯარა.

მთავრობა განაგრძობს ქართველი მაჰმადიანების უპატრონოდ დარჩენილი სახლ-კარისა და ადგილ-მამულის იჯარით გაცემას. ართვინის ოლქში ჩვენი მოძმე მაჰმადიანების სამკვიდრებელი სომეხ მოიჯარადრეებს ჩაუვარდათ ხელში. თქმა არ უნდა, ქართული ეროვნული თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი ხიფათშია ჩავარდნილი. მაგრამ მისი დახსნა კიდევ შესაძლებელია, თუ კი იჯარის ვადის განახლებას მომზადებული დაუხვდით. საჭიროა ამ თავითვე თადარიგის დაჭერა; უნდა მოეწყოს სათანადო ფინანსიური ორგანიზაცია და თანაც შესაფერი შუამდგომლობა და პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯებიც უნდა გადაიდგას. გარდახვეწილ მოძმეთა მიწა-წყლის მოვლა და შენახვა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. თუ ართვინის ოლქში საზრუნავ საკითხად სხვებზე იჯარით გაცემულ ქართველ მაჰმადიანების მამულების დაბრუნება გაგვხდომია, ბათომის ოლქში უნდა იმას ვეცადნეთ, რომ იჯარით გასაცემი მამულები ამ თავითვე ქართველებმა აიღონ. თუ ჩვენმა დაუდევრობამ და უყურადღებობამ ართვინის ოლქში მოძმე მაჰმადიანების მიწა-წყლის შეძენის საქმე გაგვირთულა, ეხლა, როდესაც გაფრთხილებულნიც ვართ და საკმაოდაც გათვალისწინებულ გვაქვს ამ დაუდევრობის მავნებელი ეროვნული შედეგები, მზგავსი ხიფათი არ უნდა განმეორდეს; ყოველგან, სადაც კი ქართველ მაჰმადიანების მამულების იჯარით გაცემას შეუდგებიან, ქართველობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს ამ მამულების ხელში ჩასაგდებათ და მათ უნდა მოუარონ და უპატრონონ, ვიდრე გარემოების ძალით აყრილი კანონიერი ბატონ-პატრონნი თავიანთ კერას დაუბრუნდებოდენ. დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ რომ 23 თებერვალს დაიწყება იჯარით გაცემა თორმეტი სოფლისა, ქვემო აჭარაში.

ბათომის ქართველობა, რომელიც ამ საქმეს ახლო უდგას და რომელმაც დიდი ხნით იცოდა ამ ახალი იჯარის ამბავი, მომზადებული დაუხვდება მას. შეუძლებელია აქაც ის უსიამოვნო სიურპრიზი შეგვემთხვეს, რომელმაც ქართველი საზოგადოება და პრესა აღსრულებული ფაქტის წინაშე დააყენა და მთელი აურ-ზაური დაატრიალა. ამის მზგავსი დღეს არ უნდა განმეორდეს. ბათომის ქართველობა ამის თავდები უნდა იყოს.

დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ამბობს მომავალ გაზაფხულის ომის მდგომარეობა ისეთია, როგორიც იყო 1914 წლის შემოდგომას. მთავარი ძალა გერმანელებისა თავს დაესხმება ფრანგებსა და ინგლისელებს, ხოლო ამავე დროს გერმანელები დიდ ძალს ჯარს რუსების ერთ-ერთ ფრონტზე თავს მოუყრიან და იერიშ მოიტანენო.

—

სპარსეთში შეპყრობილი ოსმალეთის ელჩი ასიმ-ბეი მოგილიოვში გაგზავნეს.

—

ინგლისური გაზეთი „დეილი მაილი“ იტყობინება: იმპერატორმა ვილჰელმმა რიხარდ სტრაუსს შეუკვეთა ახალი ეროვნული ჰიმნი. ტექსტი (ლექსი) თვით ვილჰელმს შეუთხზავს; ვილჰელმს განუცხადებია: ეხლანდელი ჰიმნი არა სასიამოვნო მოსასმენია, რადგან ინგლისურს მომაგონებსო.

—

ვერდენზე იერიშების შეჩერებას მცირე ხნის დასვენებად სთვლიან. გერმანელები ახალ პოზიციებზე მძიმე არტილერიას სდგამენ. კომანდირად დანიშნულია სახელგანთქმული ბეზელერი, რომელიც ანტვერპენთან ბრძოლას ხელმძღვანელობდა და ანტვერპენი დაამხო.

—

განზრახულია მოსკოვსა ან პეტროგრადში სომხების ყრილობა მოახდინონ.

თურქების პრესა

ბ-ნი უზეირის გაზეთ „იენი-იკბალ“-ში ეხება კავკასიის მაჰმადიანების ვითარებას ამ უკანასკნელ წლებში, ჰკიცხავს ყოველ საქმეში გამეფებულ ზარმაცობას, დაუდევრობას, გულ-ცივობას. იგი აღნიშნავს თუ რა ხიფათი მოელის კავკასიის თათრებს, ამ სენისაგან და მოუწოდებს ყველას თვით მოქმედებისაკენ. იგი სხვათა შორის სწერს:

„ამ ათიოდე წლის განმავლობაში კავკასიის მაჰმადიანობას თავისი მხნე მოქმედებით ეროვნულ-კულტურულ განვითარების საქმეში მეტი ნაყოფი უნდა გამოეღო და ამ კულტურულ მოღვაწეობიდან გამონაშუქი სინათლის წრეს ყოველ-დღე თანდათან უნდა ემატნა და უვიცობისა და შეუგნებლობის წყვდიადი გაეშუქებინა. მაგრამ სულ წინააღმდეგი დავინახეთ: სინათლის წრე ყოველ წელს ვიწროვდება, გაქრობას ლამობს და თუ ასე გაგრძელდა იგი ერთ დროს უეჭველად ჩაქრებაო“ პესიმისტურად დაასკვნის წერილის ავტორი. ამის საპასუხოთ გაზეთი „აჩიკ-სოზ“-ში დაბეჭდილია წერილი: „ჩვენი ლამპარი არ ჩაქრება“, სადაც ავტორი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ კავკასიის მაჰმადიანების ლამპარი ჩაქრობის ნაცვლად ფართედ გაბრწყინდებაო.

ავტორი ეხება ამ უკანასკნელი ათი წლის საქმიანობას მაჰმადიანთა შორის და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ბოძებულ უფლების ფარგლებში იმ სინამდვილეში, რომელიც სუფევდა, მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო, რომ ცხრაას ხუთმა და ექვსმა წლებმა მაჰმადიანები გამოაღვიძა და აღუძრა სურვილი განათლების და თვითმოქმედებისაკენ.

ავტორი სხვათა შორის სწერს:

„ესეც უნდა ვაღიაროთ, რომ 1905 წელს ჩვენს წილად გასაკეთებელი საქმე მხოლოდ რევოლუციონერების დაცინვა იყო. ნამდვილი ცვლილებისათვის ჩვენ მხოლოდ ეხლა ვემზადებით.

იმედია, რომ ჩვენს ირგვლივ მომხდარი ამბები, ქვეყნიერების შემარყეველი საშიში რევოლიუციები, ჩვენს მომზადებას დააჩქარებს და ერთის მხრით ამისთანა მიზეზებითა და მეორეს მხრივ ჩვენი საზოგადოების შემოქმედებითი ნიჭის წყალობით გაშუქების დამწყები ჩვენი ლამპარი არ ჩაქრება და უფრო მეტს იმატებს.

განა შესაძლებელია, რომ ერთ დროს იბნი-სინაების, ფარაბიების, ჯევჰერიების, ულუღ-ბეგების, ჯელალ-იდდინი რუმიების, ალი-ნევვაბიების, ფუზულიებისა და სხვა ნამდვილი თურქის შვილების მეცნიერებისა და სწავლულ-პოეტების შემქნელი ერთი ერის ლამპარი ასე ადვილად ჩაქრეს?

ჯერ წინანდელსა და ახლო წარსულის თაობაზედ ნურაფერს ვიტყვით: ყოველგვარს უფლებებს მოკლებულს ჩვენს ქვეყანაში, ასეთს ჩვენს უვიცობისა და გულცივობის დროს უბრალო წერა-კითხვის მცოდნეთაგან—ფეთჰალი ახუნდოვი, შემახის წრეში დატყვევებულ სეიდებისაგან—სეიდ ნეზიმ შირვანელებივითა მწერალ-პოეტები და თვეში 12 მანეთად მომუშავე უბრალო მუშათაგან—მურთეზა მუხთაროვსავით ნიჭიერი ტეხნიკები დაიბადებიან, ამ ერის ლამპარი მომავალში, „სამართლიანობის“ დროს,

სოფლად

„დავდივარ სოფლად და ველად გაჭრილი ვიკვლევ ობლად მიტოვებულსა სოფელსა ოხრად“.

სამამასახლისოების შეჯგუფება.—მოხელეების მოქმედება და მათი დახასიათება.—ეკლესიები.—გლეხების ზნეობრივი და ფიზიკური დაცემა.—სკოლები.—ჟურნალ-გაზეთების გავრცელება.—სიძვირესთან ბრძოლა.—გომის ადებ-მიცემობა.

(გაგრძელება. იხ. „საქ.“ № 38)

ეკლესიები.

ეკლესია არის ის ადგილი, სადაც მავედრებელს უცხოველდება სიყვარული მოყვასისადმი.

მრევლსა და ეკლესიის შორის კავშირი გაწყვეტილია და სიყვარულიც მცხოვრებთა შორის მოსპობილა, მის ადგილს დაისადგურა სიძულვილმა და ბოროტებამ.

მრევლი ეკლესიაში აღარ დაიარება, უაღრეს მღვდელთ-მსახურებისთვის თუ მივა, თორემ ისე არას დროს არ შეივლის.

ეკლესია მას აღარ აინტერესებს, იგი წარმოადგენს ნახევრად დანგრეულს, უშნო-ულაზათო ხატები გამოიყურებიან, კრეტსაბმელი შუაზედ გადახეულა, შანდლები მიღრეცილ-მოღრეცილი, დაღვენთილი, ტურტლიანი, კედლები დამსკდარი, იატაკი ოღრო-ჩოღრო.

და ყველა ეს ერთად მის თვალს ეხამუშება და გული არ მიუწევს ეკლესიაში შესასვლელად.

ღვდელი გაბრიელი ერთგვარის კილოთი ნახევრად დაუმთავრებელ სიტყვებით ასრულებს მღვდელ-მსახურებას, იჩქარის, თან მლოცველებს ალსავლის კარებიდგან შენიშვნას აძლევს, ზოგჯერ ილანძღება კიდეც.

მედავითნე მას ბანს ეუბნება, ტუტუნებს თავის-თავად და ხან და ხან ასამაღლებელ სიტყვებს წამოისვრის და მასთან ერთად სანთლის ფულსაც თვლის, ხან კი თვლემს კიდეცა.

ეკლესიაში ცოცხალი სიტყვა აღარ გაისმის, რომელიც ეხლა მეტად საჭიროა მრევლისათვის.

მრევლსა და მღვდელს შორის ვაჭრული ანგარიშებია,

ყველა ეს ერთად მრევლზედ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და მას არ მიუწევს გული ეკლესიაში.

აბა შეიარეთ ზემო ქართლის ეკლესიაში, დაათვალიერეთ დ̃ მათი ღვდლებიც გაიცანით: გაუნათლებელნი, მოვახშენი, არაყის მსმელნი და სამ მანეთიანის მოყვარულნი,—მათ ნიშან-წყალი სასულიერო პირისა არა ატყვიათ-რა.

და, რა გასაკვირველია, რომ მათ არ ძალუძთ თავიანთ მრევლს შორის მოიპოვონ სიყვარული და პატივ-ცემა. მით უმეტესს მათ არ ძალუძთ მრევლს შორის შეიტანონ განსპეტაკება სულისა და სიყვარული მოყვასისადმი განუცხოველონ.

ეს მხოლოდ დიდ-ბუნებოვან ადამიანს შეუძლიან. და ვაი ჩვენ, რომ ასეთი ღარიბნი ვართ დიდბუნებოვან ადამიანებით!

—

დავათვალიეროთ ეკლესიები.

სადგურ გომის ახლოს ეკლესიის ადგილი ჰქონია ნაყიდი სოფ. ზემო გომს, აგრეთვე ეკლესიის ასაშენებლად ფულიც შეაგროვეს, როგორც ხმა დადის შეგროვილ ფულიდან ნახევარზედ მეტი გაფლანგულია.

ჯერობით **უეკლესიოთ არის სოფ. ზემო გომი**, ვაყის სამრევლოს ეკუთვნის ვაყის სამრევლო ითვლება 220 კომლამდის.*)

გომიდან მოხისისკენ გავემართოთ.

სოფ. მოხისის სამრევლო ეკლესია, ამაზედვეა მიწერილი სოფ. შაქშაქეთი და ითვლება 196 კომლი.

ეკლესია აშენებული ყოფილა 1878 წელსა მღვდ. რაჟდენ დეკანოზიშვილის თაოსნობით. სიგძე ეკლესიისა 23½ არშინია, სიგანე—13 არშ., სიმაღლეც 13 არშ., დახურულია ცინკის თუნუქით, გეგმა გვარიანია, მკვიდრადაა აშენებული აგურით, თაღი ქვითკირითაა გადაყვანილი, კანკელიც კარგია დავარაყებული დ̃ გამჭვირვალე (ажурный) მხოლოდ ხატები უშნო და ულაზათო, რომელსაც საერთო შთაბეჭდილებას უკარგავს. კედლები და თაღი გაჯით შემოსილია, იატაკი ქვაფენილისაა. ერთობ არა უშავს-რა, ისევ ფრონის ხეობის ეკლესიების—გარდა ატოცისა—ესა სჯობიან და სამკვიდროდ აშენებული სუყველაზედ უკეთესია.

ეზო ფართო და სუფთაა მწვანე ბალახით გადაკრული სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს, ქვითკირის გალავნით შემოვლებულია. ამ ეზოშივეა სკოლა, სკოლების შესახებ ქვემოთ მექნება აღწერა.

სოფ. მოხისის გარეთ სასოფლე დიდ ადგილს ქვიტკირის გალავნით არის შემორტყმული, ნარ-ეკლისაგან გაწმენდილი და მოდის თივა, რომელიც ყოველ წლივ არა ნაკლებ 50—60 მანეთისა იყიდება, ეს ფული ხმარდება ეკლესიის გასამშვენიერებლად.

აქ მიცვალებულნი გაპატიოსნებულნი არიან სამყურა ბალახით და კოლინდარით.

ეკლესიას ეტყობა, რომ მზრუნველი ჰყოლია და მამა ხახუტაშვილიც ხელს უწყობს მის გამშვენიერებას.

აქედან ქვენატკოცაში გადავიაროთ. სოფ. ქვენატკოცაში სამრევლო ეკლესიაა, ეს ერთად-ერთი სოფელია და 90 კომლამდის იქნება. ეკლესია ჩვეულებრივი გეგმისაა გარს შემორტყმული ქვიტკირის გალავნით.

ქვენატკოცა შეძლებული სოფელია, მას უკეთესი შეეფერებოდა.

შევყვეთ ფრონის ხეობას, თუ ჩემო მკითხველო არ დაგეზარება, შევიაროთ **ფცაში, ორი ეკლესია არსებობს**, ეს ერთათ-ერთი სოფელი სამრევლოა და 93 კომლს შეიცავს. ეს ეკლესიები კარგს არას გვეუბნებიან, გაშარავებულია და საიმისო ღირებულობას არ წარმოადგენენ.

გავტოპოთ მდ. ფრონე და გავიდეთ **აბისის სამრევლოში**, ამაზე მიწერილი სოფ. ბერძენაული და აბისის თავი, 117 სული კომლი ითვლება, სოფ. ბერძენაულშიაც ეკლესია არსებობს, მაგრამ ორთავესთვის ღმერთს ხეირი არ უქნია, სანახავად არა ღირს, მეტადრე აბისის ეკლესია – საცოდავათ გამოიყურება, მის გარშემო ღორებისაგანაა აჩიჩქნილი მიწა, რომ ნახოთ, ამ ეკლესიის სიღარიბე, თვალში გეჩხირებათ და საცოდაობით ვეღარას იტყვით.

აქედან მეტეხის წყალზედ შევყვებით და ავალთ ატოცში. ვიდრე ატოცში მივალთ, ბრეძზედ გავვლით **და ბრეძის ეკლესიის** უნახავათ ნუ წავალთ.

სოფ. ბრეძის წმ. გიორგის ეკლესია არის, გარედან თლილი ქვისაგან ნაშენია, შიგნიდგან კი სადა ქვიტკირისა, როდის და ვისგან არის აღშენებული, არა სჩანს. 1901 და 1914 წლებში განახლებული იქმნა მღვ. ნ. სალარიძის მეცადინეობით და ნივთიერი დახმარებით, მრევლის ფულით და მათივე დახმარებით; გარედგან არ არის ჯერაც გალესილი, შიგნიდკან კი თეთრათ გალესილია და ცარცით გასუფთავებული. მისს გარშემო კედლების არშიები არის ზეთიანი საღებავით რუხ ფერათ შეღებილი. კანკელი არის ჩარხში გამოყვანილი კაკლის ხის მასალით შეუღებავათ თავისივე ფერით, დაყოფილია ოთხ ძგიდეთ, ხატები არის ტილოზედ დახატული ჩარჩოებში ჩასმული.

ამ კანკელის მხატვრობა შესწირა მღვ. სალარიძემ, რომელიც შეისყიდა ავლევის ეკლესიის ძველი ხატები, მხატვარს გააწმენდინა, გაახლებინა, დაუჯდა 50 მან.

ეკლესია კრამიტით დახურულია.

ეკლესიის გადაკეთებაზედ იყვნენ კომიტეტის წევრნი: თავმჯდომარეთ მღვ. ნ. სალარიძე, აზნ. ალ. მუსხელაშვილი და სანდრო მეყანწიშვილი.

ატოცის სამრევლოს შეადგენს: ბრეძა, საციხური, აბანო, კედა, წნელისი, ყორი, კედაოთი, ქალეთი და ჭვრინისი, სულ შეიცავს 287 კომლსა. ყველას გაგონილი ექნება ატოცის წმ. გიორგის ეკლესია.

1800 წელსა ბატონიშვილის იულიონისაგან ყოფილა აშენებული, როგორც მღვდ. ნ. სალარიძემ გადმომცა.

სხვა გადმოცემანი არაფერს გვეუბნებიან.

1907 და 1913 წლებში გადაკეთებული და განახლებული არის მღვდ. ნ. სალარიძის მეცადინეობით და ნივთიერის დახმარებით, ეკლესიის ფულით და მრევლისავე დახმარებით.

ეკლესიის კედლების შენობა არის აგურ-ნარევი ქვიტკირით, თაღი ხით არის გადაყვანილი და გაჯით შელესილი, დახურულია თუნუქით.

გუმბათი ადგია ხისა, დახურულია თუნუქით, ჯვარი ადგია თითბრისა.

სამრეკლო არის ქვიტკირის ოთხის სვეტით და რკინის ჯვრით, დახურულია თუნუქით. მთელი სახურავი შეღებილია მწვანე ზეთიანი საღებავით.

ეკლესიის სიგრძე—24 არშ. და 2 ვერშ. სიგანე—16 არშ. 6 ვერშ., სიმაღლე—13 არშ. და 5 ვერ., სიმაღლე გუმბათისა ჯვრით—14 არშ. და სამრეკლოს სიგრძე-სიგანე 48 ვერშ.

შიგნიდგან ეკლესიას აქვს ორი სვეტი ქვიტკირისა თავისივე ოთხის თაღით, არის გალესილი გაჯით და გათეთრებული ცარცით.

ფანჯრები შეღებილია თეთრის ზეთიანი საღებავით და გარშემო ძირის კედლის არშიაც რუხის ფერად არის შეღებილი.

კანკელი არის ჩარხში გამოყვანილი კაკლის მასალისა, შეუღებავი თავის ფერზედ, დაყოფილია ოთხ ძგიდეთ. მარჯვნივ მხარეს სახატეში ასვენია წმ. გიოგის ნაწილოვანი ხატი, ვერცხლით გადაკრული და შიგა და შიგ ძვირფას თვლებ ჩასხმული, არა აქვს არც ზეპირ გარდმოცემა და არც წარწერა ეტყობა სიძველისა გამო. დანარჩენი ხატები არიან ტილოზედ დახატული და ჩარჩოებში ჩასხმული, წარწერა აქვთ რუსული, რადგან ვიღაც რუსი მხატვარი რუბცოვისაგან დახატულია.

Legatus.

(შემდეგი იქნება)

---

*) ახალ დადგენილებით დრამის მაგიერ თითო კომლი იხდის 2 მანეთს ყველა სამრევლოში.

რომ უფრო მოიმატებს და გააშუქებს ეს ცხადი არაა?

მართალია დღეს ეს ლამპარი თითქოს ჩაქრა ისე ბჟუტავს, მაგრამ არასოდეს არ ჩაქრება. იმიტომ, რომ ეს ლამპარი სულ სხვა ლამპარია. ჩვენი ლამპარიც ჩვენსავით საოცარი თვისებისაა: ზოგჯერ ხედავ, რომ ამ ლამპარს საუკუნოების განმავლობაში თავისი სხივებით მთელი მხარე გაუშუქებია და დიდი კულტურა შეუქმნია. ზოგჯერ კი სინათლე დაუკლია, ისე მიუნელებია, დაუპატარავებია, რომ—დღევანდელსავით—ყველას ჩაქრებაო, ჰგონებიათ, მაგრამ არ ჩამქრალა. და ცოტა ხნის შემდეგ უცებ ისევ გაუნათებია, გაუშუქებია, თანდათან უმატნია, გაძლიერებულაო“.

ახალი ამბავი

◆ **ეგზარხოსის ლექცია.** 19 ამა თვეს საქართველოს ეგზარხოსმა მაღალ ყოვლადუსამღვდელოესმა პლატონმა არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ლექცია წაიკითხა თავისს მოგზაურობის შესახებ კანადასა და ალიასკაში. ლექციის წაკითხვამდე მისმა მეუფებამ დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ ჯარისკაცთა ობლებისათვის სკოლა-თავშესაფარის გახსნას ვაპირებო შულავერის მახლობლად და დახმარება სთხოვა გულშემატკივართ. სკოლაში წერა-კითხვას და ხელობას ასწავლიან ბავშვებს. ლექციას აურაცხელი ხალხი დაესწრო წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ სასულიერო წოდების პირნი. ლექციის წაკითხვამდე და ანტრაქტებში რიგრიგად გალობდნენ ეგზარხოსისა, სასახლის ეკლესიისა და ქართულ მგალობელთა გუნდნი. მთელი წმინდა შემოსავალი ლექციისა გადადებულია აღნიშნულ სკოლა თავშესაფარის სასარგებლოდ.

◆ **ქართულ სამაჰმადიანოს სკოლების გარშემო.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ მასწავლებლებად გააწესა თავისს მიერ სამაჰმადიანო საქართველოში გახსნილ სკოლებში: თამარი დარეჯანიშვილი, ანასტასია ზაალიშვილი, ელენე ციცქიშვილი, პელაგია გელაშვილი, მარიამ კალანდაძე, ბ-ნნი ხ. ნიკოლაიშვილი, ნ. ქამუშაძე, ნ. გეგელია, ავ. ჩხაიძე, სიმონ ჯიგაური (დურგალი) და აპ. წულაძე (მეფუტკრე). რადგან სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა პირობა ჩამოართვა საზოგადოების გამგეობას, რომ სამინისტრო სკოლების მასწავლებლებს არ მოაშორებენ სკოლებს და არ მიიღებენ, ამიტომ ასეთ მასწავლებლების მიერ შემოტანილი თხოვნები გამგეობამ არ განიხილავს. ზოგი სხვა თხოვნების განხილვაც შემდეგისათვის გადაიდვა. თხოვნებს ჯერ კიდევ ღებულობს გამგეობა. გამგეობას სასურველად მიაჩნია ცოლ-ქმარი-მასწავლებლები.

◆ **დიდმარხვის პირველ კვირაში** სასულიერო უწყების სკოლების მოსწავლენი სწავლისაგან განთავისუფლებული არიან. ამ კვირაში მოსწავლეებმა უნდა იმარხულონ და ეზიარონ.

◆ **როგორც** ბაქოდან გვატყობინებენ, ადგილობრივ სცენის მოყვარე და დაუზარებელი მუშაკი ა. პავლიაშვილი ჭლექით ავად გამხდარა.

◆ **ლექცია.** 19 თებერვალს „ახალი კლუბის“ თეატრში ბ-ნმა კოტე დოდაშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „მოშაირე მესტვირეები ძველ საქართველოში“. მეორე განყოფილებაში თვით ლექტორის ლოტბარობის სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა მისივე შედგენილი მე-12 და მე-13 საუკუნეთა ქართულ მუსიკის ნიმუშები. ამას მოჰყვა მელოდეკლამაცია „ვეფხის ტყაოსნიდან“. ბოლოს გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ია კარგარეთელმა და სხ. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

◆ **ვაზის წამალი.** როგორც ამბობენ, ერთ-ერთ სპილენძის ქარხნის პატრონი მზად არის დაამზადოს შაბიამანი, ამისი ნებართვა თუ ექნება. დამაბრკოლებელი მიზეზები დაინტერესებულ პირთა დახმარებით უკვე აუშორებიათ თავიდან და მაისის პირველ რიცხვებამდე საკმაო შაბიამანი მზად იქნება. მცოდნე კაცების სიტყვით, ეს შაბიამანი ბევრად უფრო იაფი იქნება ინგლისიდან მოტანილთან შედარებით.

◆ **ქართულ** სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა 18 ამა თვეს, რომ, თანახმად მიწადმოქმედების დეპარტამენტის თხოვნისა, 1 წლით დაუთმოს ინსტრუქტორს ზემელს იყალთოში 2 დესეტინა ადგილი **ხაშხაშის დასათესად.**

◆ **ქართველთა სოფლის დაბეჩავება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება ატყობინებს ბორჩალოს მაზრიდან საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ სოფ. რეხას მცხოვრებნი, ძირითადი ქართველები გადაგვარების გზას დაადგნენ; ბევრმა მათგანმა ქართული ლაპარაკიც-კი დაივიწყა და თათრულ ენაზე ლაპარაკობენ, ერთი სიტყვით ეს ხალხი სავსებით მოწყვეტილია ქართულ კულტურას და თუ დროზე არ მიეშველა ქართველი საზოგადოება, ხალხი სრულიად გადაგვარდებაო. განყოფილება აგრეთვე აღნიშნავს, თუ რა გაჭირვებას განიცდიან რეხელები ქონებრივად, რადგან მათ ერთობ მცირე მამული აქვთ და ვერც საიჯარო მამულს შოულობენ მახლობლად. წინად სოფლის ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა თურმე სოფლის დიაკონი, მაგრამ ამ ჟამად იქ აღარც მღვდელი ყოფილა და აღარც დიაკონი. იქაურ სკოლაში რუსი მასწავლებელი ყოფილა, რომელსაც ქართულის არა გაეგება-რა, ხოლო ბავშვებს კიდევ რუსული არ ესმით და არც დადიან სკოლაში. ზემო აღნიშნულ სამწუხარო მდგომარეობის გამო განყოფილება სთხოვს საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ, რითაც კი შეუძლიან, უშველოს ამ ბედშავ სოფელს. საქართველოს ექსარხოსს მაინც სთხოვეთ, რომ ქართველი მღვდელი გამოაწესოს ამ სოფელშიო,—იწერება განყოფილება.

ვაჭრობა და მრეწველობა

ჩვენი რწმენაა, ჩვენი ერი ეხლა მაინც დაახწევს თავს უნიადაგო გატაცებებს და თავის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას და გაძლიერებას შეუდგება. ჩვენი გაზეთის ეს განყოფილება გვინდა გადავაქციოთ ჩვენი კუთხის ეკონომიური ამოძრავების მატიანეთ. ვთხოვთ ყველა ჩვენს თანამოაზრეებს ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის და, საზოგადოდ, ეკონომიურ ვითარებების შესახებ ცნობები მოგვაწოდონ.

---

20 თებერვალს სამეურნეო ბანკის შენობაში მოხდა კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერების დელეგატთა კრება. კრებამ შესაძლოთ და სასურველათ აღიარა ბანკის გახსნა, რაც შეიძლება მოკლე დროში; ამისთვის საორგანიზაციო კომიტეტს დაევალა აქციების ღირებულობის 40% შეკრება 10—20 მაისისთვის და წესდების დამტკიცება.

ბანკის ოპერაციების დაწყების დრო უნდა გადაწყვიტოს აქციონერთა ყრილობამ.

ცნობილმა სპარსეთის ხე-ტყის მრეწველმა ა. მ. **ხოშტარიამ** სპარსეთის სამხედრო მინისტრ სეპეხდარიდან აიღო კონცესიური წესით გილიანის და მაზანდარანის ოლქის ნავთიანი მიწები 99 წლით. ნავთიანი მიწების სივრცე 3 ათას დესეტინას უდრის და ცნობილ ინგლისის კომპანიის მიწებზედ უფრო მდიდარია.

---

17 თებერვალს შესდგა მეფის ნაცვლის საბჭოს კრება თ-დ არლოვის თავმჯდომარეობით. საბჭოს უნდა განეხილა 11 სხვა და სხვა მწარმოებელთა წინადადება შესახებ **მდინარე რიონის ენერგიის გამოყენებისა.** ამის შესახებ დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობასაც ჰქონდა აღძრული შუამდგომლობა და საბჭოში თავად-აზნაურობის პროექტს იცავდა ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. ს. ნიჟარაძე. მეფის ნაცვლის საბჭომ დაადგინა საკონკურსო პირობების შემუშავება და საბოლოოდ საკითხის ამის შემდეგ გადაწყვეტა.

კავკასიის სამთო მართველობამ **ზ. ო. კობახიძეს** ზედა რგანში, შორაპნის მაზ. შავი ქვის წარმოების დაწყების ნებართვა მისცა.

დ. დ. ლომთათიძემ შეიძინა შპიცბერგის ქალიდან ყველა უფლებები და 7 ნებართვის მოწმობა თერგის ოლქში ნავთის ძიებისა.

ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა დადგენილება შესახებ საფუთო გადასახადის ¼ კაპ. მომატებისა.

ტყავეულობის დასამუშავებლათ სახმარი ექსტრაქტი გერმანეთიდან და ავსტრო-უნგრეთიდან შემოჰქონდათ. ეხლა დაარსდა **კავკასიელ მრეწველთა ამხანაგობა „დუბლო“,** 150,000 მან. ძირითად თანხით, რომელიც ამ ექსტრაქტს დაამზადებს, კავკასიის ზოგიერთ ჯიშის ხეების გადამუშავებით. ასეთი ჯიშის ხეები ბლომათ იშოვება თურმე ლეჩხუმის მაზრაში, ქუთაისის გუბერ.

ნ. ნაზარეთოვას გაუგრძელეს ერთი წლით ართვინის ოლქში ს. ნაფეტვარში სამთა-მადნო წარმოების დაწყების დრო.

ომის გამო **გადუტანიათ შუა-რუსეთში** განაპირებიდან 242 საბანკო და საკრედიტო დაწესებულება; აქედან—საურთიერთო კრედიტის—156; კომერციული ბანკი—70 და სხ.

კავკ. სამთო მმართ. **ე. დ. თოდუას,** სოფ. რგანში, შორაპ. მაზ. შავი ქვის წარმოების დაწყების ნებართვა მისცა.

თ-დ ა. პ. მიქელაძემ შეიძინა ნ. პ. იოსელიანისაგან ყოველივე მისი უფლებები ნავთიან მიწაზედ № 5754 შემახის მაზრ. ბაქოს გუბერნიაში.

კ. ტერ-მარკაროვმა მიიღო სამი ნებართვის ქაღალდი სოფ. მარტყოფში, თბილისის გუბერნიაში, ნავთის საძიებლათ.

პური—სარატოვში ფასობს ფუთი—1 მ. 50 კ.—1 მ. 80 კ-მდე. რუსული „როჟი“—1 მ. 05 კ.—1 მ. 20 კ.-მდე. როსტოვში დონზედ—კავკასიური „როჟი“ 45 გირვანქა—1 მან. 08 კაპ. ფქვილი—1 მ. 60 კ.

შაქრის წარმოება, ფინანსთა სამინისტროს გამოკვლევით წელს მიაღწევს 105,683,389 ფუთს, შარშან დამზადდა—129,996,307 ფუთი.

რკინეულობა. ბაქოში დაწესებულია „ლისტოვოი რკინის ფასად 2 მ. 25—2 მ. 50 კ.-მდე. „სორტოვოე“-ს—2 მ. 40 კ.; ვაჭრები კი ხშირათ იხდევინებიან 4 და 6 მანეთს.

მანქანების ფასმა აიწია 100%; „მოტორები“ და „სტანოები“ სრულებით არ იშოვება.

საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები ფასობს: მოსკოვის—78 მ. ნიჟეგოროდის—78⅓ მ. ტულის—78⅓ მ.; ხარკოვის—76¼ მ.

თბილისის ვაჭართა ბანკმა სამინისტროდან ნებართვა გამოითხოვა და **„კავკასიის კომერციული ბანკი“** დაირქვა.

აჭარის მამულების კვლავ იჯარით გაცემა

(ქართველ საზოგად. საყურადღებოდ)

„Батумскія Вѣсти“-ს 1861 ნომერში დასტამბულია განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ტყის მცოდნე ბ. გ. **აბაკელია.** განცხადება შეეხება ქვემო აჭარიდან ომიანობის გამო გაქცეულ მკვიდრთა დატოვებულ მამულების იჯარით გაცემას. იჯარით გაიცემა ხილის მოსავალი და მამულები **ერთი წლის ვადით** შემდეგ სოფლებში: ნამისლევასა, მილისსა, უჩხეთსა, აჭარისამართსა, ჩანივრსა, ქედ-ქედსა, კინოთი-კობოლთსა, ღვარასა, სინდიეთსა, მაჰახლის-პირსა, ქვედა ხერთვისსა, და მაღლინენსა. სულ თორმეტს სოფელში იჯარით გასაცემი ვაჭრობა დანიშნულია თებერვლის 23-ს, სამშაბათს. თითეულ სოფლის შესახებ ვაჭრობა მოხდება ცალკე. თითოულ სოფლის მამულების იჯარით აღების მსურველმა უნდა წარადგინოს 100 მანეთი, ბათომს ოგლობჟიოს ქუჩაზე მე-25 ნომრის სახლში, ბ. აბაკელიასთან. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება.

განცხადება დაიბეჭდა ერთ გზის. საჭიროა ეს გარემოება შეიტყოს ქართველმა ფართო საზოგადოებამ. რომ არტაანის მაზრის ამბები არ გამეორდეს ქართველებმაც უნდა ფართე მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში და აიღონ იჯარით ხილის მოსავალი და ერთი წლით თავის თანამოძმე ქართველ მაჰმადიანების მამულები იმ მოსაზრებით, რასაკვირველია, რომ, **უკეთუ დრო და გარემოება ხელს შეუწყობს, და ლტოლვილნი კვლავ** მამაპაპის მიწა-წყალს **დაუბრუნდებიან,** ესევე მამულები მათვე გადაეცეთ საკუთრებად... ეს ადვილად **მოხერხდება, უკეთუ იჯარით ამღებნი** იქნებიან ქართველები, მაგრამ მამულები შეიძლება მთლად დაეკარგოთ უწინდელ პატრონებს, თუ ისინი იჯარით ზოგიერთ ჩვენი მეზობლების ხელში ჩავარდება. ზემოდ დასახელებული სოფლები ძლიერ ახლო არიან ქალ. ბათომზე. საუცხოვო გზებია გაყვანილი. ჰაერი სამაგალითოა, ზამთარი თბილი. ფორთოხალი ლიმონი და თურინჯის ტყეებში მოუვლელად ხარობს... ვინიცობაა უწინდელმა პატრონებმა აღარ მოისურვეს დაბრუნება სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო, კანონიერი იქნება რომ მათი მამულები მათს მოძმე ქართველებსვე დარჩეთ. **მეორედ** იჯარით აღების ჟამს პირველ წლის მოიჯარადრეებს ექნებათ უპირატესობა.

იმედია, **ბათომის ქართველობა** მაინც მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და ხელიდამ არ გაუშვებს შემთხვევას—გამოიჩინოს თავისი ეროვნული შეგნება და მწარე სინამდვილის ცოდნა.

თეზბიტელი.

ქართველ მხატვართა კავშირი

ოთხშაბათს, ჩვიდმეტს თებერვალს სამეურნეო ბანკის დარბაზში, საღამოს რვა საათზე, ქართველ მხატვართა და ლიტერატორთა კრება მოჰხდა. კრება მოწვეულ იყო ახალგაზრდა მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის მეთაურობით. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. დ. ქურული. კრებაზე წაკითხულ იქმნა წესდება დ. შევარდნაძის მიერ ქართველ მხატვართა და ხელოვნების მოყვარეთა კავშირის დასაარსებლად. მცირე კამათის შემდეგ კრებამ წესდებაში ზოგიერთი შეუსაბამობა ჰპოვა, რისთვისაც დაადგინა: ამორჩეულ იქმნას კომისია წესდების რედაქციის შესამუშავებლად. კომისიაში არჩეულ იქმნა ექვთ. თაყაიშვილი, ალ. ყანჩელი, გ. დ. ქურული და თვით ინიციატორი ამ კრებისა დ. შევარდნაძე, რომელთაც ეთხოვათ ამ ერთ კვირის განმავლობაში საბოლოოდ შეიმუშავონ და რედაქცია გაუკეთონ ხსენებულ წესდებას და მომავალ კრებას წარმოუდგინონ.

ჩვენ დიდის აღტაცებით ვეგებებით ქართველ მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა კავშირის დაარსებას. ვუსურვებთ კავშირის მეთაურებს მეტს თავგამოდებას ფრიად სასიხარულო საქმის დასაგვირგვინებლად.

განათლების მინისტრის განკარგულება

(პეტ. დეპ. სააგ.)

განათლების მინისტრმა შემდეგი განკარგულება დაუგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს: კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდა საშუალო სასწავლებლებში არ მოხდება. მოწაფეებს წლიურ ნიშნებით გადაიყვანენ. სწავლაში სუსტ მოწაფეების გადაყვანის საკითხს შემოდგომაზე გადასწყვეტენ. გიმნაზიის მე-8 კლ. და რეალ. სასწავლ. მე-7 კლ. გარდა სწავლა ყველგან უნდა დასრულდეს არა უადრეს 21-სა და არა უგვიანეს 28 მაისისა. კურსის დასრულების გამოცდა ქალ-ვაჟთა სასწავლებლებში გაუქმებულია, მოწმობას წლიური ნიშნების მიხედვით გასცემენ. გიმნაზიის მე-8 კლ. და რეალ. სასწ. მე-7 კლასში სწავლა აპრილის გასულს დასრულდება. აქ კურს დასრულებულთ ასწავლიან სამხედრო დარაზმულობას.

ეროვნული მუსიკა

(სასიამოვნო ამბავი)

ვის არ წაგვიკითხავს (ვისაც არ წაუკითხავს ვურჩევთ წაიკითხოს) განსვენებული იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა“. პატარა ქალი დედის გულს მოჰგლიჯეს, უცხო ადგილას წაიყვანეს, მშობლიური ყველაფერი დაავიწყეს, მაგრამ მისი გულიდან არ ამოიფხვრა დედის ტკბილი „იავნანა“ და როცა უკვე დაქალებულმა და სავსებით გადაგვარებულ-გადარჯულებულმა დედისაგანვე გაიგონა „იავნანას“ ღიღინი, ღიღინმა მას ისევ გაუცოცხლა მშობელი და შობილი მშობელს ჩაეკონა და დაუბრუნდა. აი ასეთი სასწაულ-მოქმედია მშობლიური სიმღერა-გალობა-ღიღინი. „იავნანას“ სასწაული მე არ მჯეროდა მანამდე, სანამ ჩვენს მოძმე აჭარლებს ახლო არ გავიცნობდი. აჭარლებს (მეტადრე ზემო აჭარლებს) სიმღერა დაუვიწყნიათ, მაგრამ ქართული ეროვნული სიმღერის სიყვარული ღრმად აღბეჭდილა მათ გულში. წარმოიდგინეთ როცა აჭარელი ისმენს გურულებიდან სიმღერას, მათ თვალი ცრემლით ევსებათ და არ იციან უაღრესი სიამოვნება როგორ გამოხატონ. დიახ ძლიერი და ძალუმია ადამიანზე მშობლიური მუსიკის გავლენა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მუსიკა (სიმღერა, გალობა, ეროვნული საკრავები) ეროვნული ელფერის მთავარი ფაქტორია, ერის გულის სიცოცხლის წყაროა, მისი სიამაყეა. რაკი ეს ასეა, ყველა ვალდებულია ეროვნულ მუსიკას თვალის ჩინივით უვლიდეს, მას ეტრფოდეს და ელოლიავებოდეს. ასეა სხვაგან, მაგრამ ჩვენში ყველაფერი ჩვენებური აბუჩად არის აგდებული, გერზთ არის მიჩნეული, უცხო კი ყველა კარგია. ასეთი გულგრილობისა და აბრუნდის მეოხებით ლამის არის მთლად დაივიწყებას მიეცეს ჩვენი მუსიკა, ის მუსიკა, რომლის შესწავლით და ქურდობით (მითვისებით) სახელი გაითქვეს უცხოელებმა. ჯერ კიდევ დრო გვაქვს მივხედოთ და ვეჭირისუფლოთ ჩვენს ეროვნულ განძს, მერმე დიდი სურვილიც რომ დაგვირჩეს გვიანი იქნება, ავადმყოფის მოვლა და განკურნება უფრო ადვილია, ვიდრე მიცვალებულის აღდგენა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენებურ ეროვნულ მუსიკას გამოუჩნდნენ მფარველები. ამის შესახებ რაც უკვე იციან ქართული გაზეთების მკითხველებმა იმას აღარ გავიმეორებთ. დღეს გვინდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს ფრიად სასიამოვნო ამბავი. სასტუმრო **„ნოე“**-ს პატრონმა ბ-ნმა ნოე გლახუნის ძე სიხარულიძემ თხოვნა მიართვა ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობას. თხოვნაში ბ-ნი სიხარულიძე გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ გურიაში სულ აღარ მოიპოვება ტკბილხმოვანი ჭიანურის დამკვრელი, ჩონგურის ტკბილი ხმა და ზედ დამღიღინებელიც თითზე ჩამოსათვლელებია და ადრე ჩონგურსაც ჭიანურის ბედი მოელის, რადგან ახალგაზრდები უცხოელთა მუსიკას ეტანებიან, მშობლიურს კი ივიწყებენ და შესწავლას თაკილობენ.

საჭიროა ახალგაზრდები დავარწმუნოთ, რომ ჩვენებური ჩონგურ-ჭიანური უცხოელთა სიმებიან საკრავებს (გიტარა-მანდალინას) თუ არ სჯობნის არ ჩამოურჩება, საჭიროა წახალისება და ეროვნული მუსიკის მოყვარულობა. ბ-ნი ნოე სთხოვს საზოგადოებას ქ. ოზურგეთში დანიშნოს ჩონგურის დამკვრელთა შეჯიბრება (კონკურსი) თვითონ ის (ნოე) თავის მხრით ნიშნავს ორ ჯილდოს (პრემიას) ერთს, ჩონგურის საუკეთესო დამკვრელს მიართმევს ხუთ თუმანს, მეორეს 4—5 თუმნად ღირებულ ჩონგურს. ეს ჯილდო უნდა მიეცეს მანდილოსანს.

სრული იმედია პატივცემული ბ-ნი სიხარულიძის თხოვნას ეთნოგრაფიული საზოგადოება სრულის თანაგრძნობით შეხვდება და ამ საქმის მოგვარებას იკისრებს. იმედია ერთ ჯილდოს თვით ეთნოგრაფიული საზ. დანიშნავს, მეოთხე ჯილდო კი შეიძლება მიეცეს შეჯიბრების დღეს გამართული წარმოდგენის შემოსავლიდან. იმედია ამ სასიამოვნო ამბავს ოზურგეთის კულტურული საქმის მესვეურებიც თანაგრძნობით შეხვდებიან და ადგილობრივ საქმის მოწყობას იკისრებენ. სასიამოვნოა, რომ ჩვენებური ზოგიერთი ვაჭრები ეროვნულ კულტურულ საქმეს არ ივიწყებენ და თავიანთი ნივთიერი დახმარებით ამა თუ იმ კეთილ საქმეს ეხმარებიან. ბ-ნმა ნოე სიხარულიძემ ამ დღეებში გაიღო 300 მან., რომლითაც უნდა შეიკეროს გურულ მომღერალთა გუნდისათვის გურული (ჩაქურა) ტანისამოსი. იგივე პირი გვპირდება გუნდისათვის ერთი ოთახის დაქირავებას. გვეყო ძილი და ოცნება, იქნებ „გვეღირსოს ჩვენც გაღვიძება“.

აპ. წ.

მზრუნველობა მებოსტნეობაზე

მიწათმოქმედების მინისტრისაგან, სხვათა შორის, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასაც მოუვიდა მოწერილობა, რომელიც ამბობს: ეხლანდელ ისტორიულ ხანაში, როცა ხორცეულობის სიმცირე საგრძნობელია, მხედრობისა და ხალხის გამოკვება მორიგ საზრუნავ საგანს წარმოადგენს. ამიტომ ჟამთა ვითარებამ წამოაყენა საკითხი მებოსტნეობის დიდი მნიშვნელობის შესახებ, რათა ბოსტნეულობამ ხორცის მაგიერობა გაუწიოს ჯარისკაცთ და ხალხს.

ამის გამო მიწათმოქმედების სამინისტროს განუზრახავს სხვა და სხვა ღონისძიებანი იხმაროს მებოსტნეობის გასავრცელებლად სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა და სოფლის სხვა ორგანიზაციათა დახმარებით და თანამშრომლობით. პირველეს ყოვლისა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს შეიძინოს ბოსტნეულობის თესლი იმ ანგარიშით, რომ ეს თესლი გაზაფხულის დასაწყისშივე, როცა ბოსტანს სთესენ, ხელთ ჰქონდეთ სოფლის ორგანიზაციებს. ამისათვის სამინისტროს კიდევაც შეუძენია სხვა და სხვა გვარი თესლეულობა რუსეთსა და საზღვარ გარეთ და კვლავაც აპირებს შეძენას. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ და სხვა ორგანიზაციებმა, რომელთაც თესლეულობა სჭირდებათ თავიანთ რაიონებში, მიწადმოქმედების დეპარტამენტს უნდა მიმართონ დაუყოვნებლივ. რათა ბოსტნებმა მომეტებული ადგილი დაიჭირონ, სამინისტროს ბძანება დაუგზავნია სახელმწიფო ქონებათა გამგეობათათვის, რომ საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად 12 წლის ვადით მსურველთ დაუბრკოლებლივ იჯარით მისცენ ბოსტნისათვის სახაზინო მამულები. რათა მომავალში მცხოვრებნი უზრუნველყოფილ იქმნენ ადგილობრივ ბოსტნეულობის თესლით და საზღვარ-გარეთის, განსაკუთრებით-კი გერმანეთის, თესლი საჭირო აღარ დარჩეს, სამინისტროს საჭიროდ უცვნია სათესლე ბოსტნების გაშენება და ის სოფლის ორგანიზაციები, რომელნიც ასეთ ბოსტნებს გააშენებენ, სუბსიდიას (ფულით დახმარება) მიიღებენ მთავრობისაგან. სამინისტროს საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ ეს დარგი მეურნეობისა, გარდა იმისა, რომ იგი დიდ სასაზრდოო მასალას მისცემს ჩვენს მხედრობას და ხალხს, დიდ სარგებლობას მოუტანს თვით მებოსტნეებს, ვინაიდან თვით მთავრობა მომავალ გაზაფხულშივე შეუდგება ბოსტნეულობის ყიდვას ჯარებისათვის და ჰესაც დაურიგებს მებოსტნეებს.

სამინისტრო სთხოვს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, ისე როგორც სხვა ორგანიზაციებსაც, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მას აღნიშნულ საქმის მოწესრიგებაში და, რამდენათაც შესაძლო იქნება, ქალებსა და ბავშვებს დააკისროს ბოსტნის დამუშავება და მოვლა.

სახელმწიფო სათათბირო

18 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეა ვარუნ-სეკრეტი. სხდომის საგანია თუ რა გზით უნდა მოეწყოს ხალხის გამოკვების საქმე და როგორ უნდა ეშველოს ყანის რაოდენ შემცირებას. გასულ წლებში ბევრ ადგილას ეს შემცირება 40 პროცენტამდე ასულა. მიწად-მოქმედების მინისტრი ასახელებს შემდეგ ზომებს ყანის დამუშავების გასაფართოებლად: ხვნა-თესვის დროს, ოთხი კვირის განმავლობაში, ჯარისკაცებიც უნდა ჩაბმულ იქმნას მუშაობაში. ნავარაუდევია 250.000 ჯარისკაცი მუშა. ამას უნდა მიემატოს 380.000 ტყვე ჯარისკაცი. ყანებისავე დასამუშავებლად უნდა გაიყვანონ გამოქცეულები, რომელთა რიცხვი მილიონამდე ავა. განზრახულია აგრეთვე ჩინელების გაყვანა.

19 თებერვლის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

კონოვალოვის ვარაუდით 1916 წ. ფაქტიური ხარჯთ-აღრიცხვა 14½ მილიარდ მანეთს უდრის. 1917 წ. ჩვეულებრივი ხარჯ-აღრიცხვა 5½ მილიარდი მაინც იქნება... ორატორის აზრით საჭიროა საყოველთაო ხმის უფლებით არჩეული, ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხის მგებელი აღმასრულებელი მთავრობა.

მარკოვი მეორე შინგარევს უპასუხებს: შინგაროვის აზრით მოსალოდნელია დევალვაცია (ქაღალდის ფულის მაზანდის დაცემა), ეს მოსაზრება სწორი არ არის. ომის მერე ყველა ქვეყნები ხელს აიღებენ ოქროს ვალიუტაზე, რადგანაც ოქრო მთელს ქვეყანაზე მხოლოდ 15 მილიარდი მანეთისაა. ამისათვის აღებ-მიცემობა იწარმოებს ჩეკების და სხვა ფასიან ქაღალდებით. მხოლოდ გარდასახადები ვერ დაჰფარავს სამხედრო ხარჯს. საჭიროა მონოპოლიების შემოღება. ჯერ კი საჭიროა გარდასახადების მომატება და სესხის აღება. ორატორი მოუწოდებს. ყველა პარტიებს, ხელიხელს მისცენ და მთავრობას დაეხმარონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გრაფი კაპნისტი მე-2 პროგრესიულ ბლოკის ექვს ფრაქციის სახელით კითხულობს მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულას. ბლოკის ფორმულა მიიღეს.

შემდეგი სხდომა 22 თებერვალს მოხდება.

საჭირო განმარტება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩემს ბოლო (№ 18) დღიურში, ჩვენებურ ექიმების „საქმიანობას“ ვეხებოდი და, სხვათა შორის, ბ. კალანდარაშვილის შესახებაც დავსძენდი, რომ იმის ბინაზედაც ორჯერ ვიყავ (დილის 10 დან 12 საათ.) და იმის წაყვანასაც ვერ ვეღირსე შეწუხებულ ავადმყოფთან მეთქი. აქ საჭიროდა ვსთვლი ვაღიარო, რომ მაშინ მე პირადად არ მინახავს ბ. კალანდარაშვილი და იმის კარის კაცისაგან ცივად გამოსტუმრებულის და იმ დღეს საერთოთ ექიმებისაგან გაბოროტებულს,—ეტყობა სინამდვილეს მოკლებული შთაბეჭდილება გამომიტანია, ვითომც ბ. კალანდარაშვილიც უხალისოდ და გარჩევით დაიარებოდეს კერძო ავადმყოფებთან.

პირ იქით, როგორც ბევრმა დაგვარწმუნა, ბ. კალანდარაშვილი, იმისდა მიუხედავად, რომ ადგილობრივ კორპუსის ექიმათ, ითვლება და სადამომდე მოცლა არა აქვს,—იგი მაინც, ყოველთვის, როცა კი ოდნავ გარემოება ხელს უწყობს, დაუზარებლად და დროს განუსაზღვრელად შველის ყველა ავადმყოფს, ვინც კი მიმართავს.

ვინაიდან ბეჭდურ სიტყვას იმდენად პატივსა ვსცემ, რომ სიმართლეს მოკლებულ ცნობის მიწოდება დიდ დანაშაულებად მიმაჩნია და ყოველთვის მზათა ვარ საჯაროთვე ვაღიარო ჩვენი უნებლიეთი შეცდომები ხოლმე,—დიდ ბოდიშს ვიხდი პატივცემულ ექიმ ა. კალანდარაშვილთანაც ჩემ დღიურში უნებლიეთ შეპარულ ჯეროვან სიმართლეს მოკლებულ, ცნობისათვის.

გ. ახ—ციხელი.

კრება ქუთაისში ახალი თეატრის აგების გამო

სამშაბათს, 16 თებერვალს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა ქართულ-კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება იმის სათათბიროთ, თუ როგორ მოეწყოთ ქუთაისში ახალი თეატრის აგების საქმე.

დრამ. საზ. გამგ. თავმჯდომარის ამხანაგმა **ალ. კრინიცკიმ** კრებას განუმარტა, რომ დრამატიულ საზოგადოებას აზრად დაებადა ახალი თეატრის აგება და ამისთვის მოვიწვიეთ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომ თავისი აზრი გამოეთქვათო. შემდეგ იგი კრებას სთხოვს აირჩიონ თავმჯდომარე.

კრების თხოვნით თავმჯდომარის ადგილს იჭერს **თავ. მ. ფალავა,** თავმჯდომარემ განაცხადა: საქმეს შევუდგებით, თუ კრება კანონიერათ ჩაითვლებაო. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ შემდეგი კრებისათვის იმ დაწესებულებიდანაც მოიწვიონ წარმომადგენელნი, რომელნიც დღეს არ მოუწვევიათ. შემდეგ ალ. კრინიცკი თხოულობს ნებას მოხსენების წასაკითხავათ. მოხსენებას კითხულობენ.

მომხსენებელია ეხლანდელი თეატრის მდგომარეობა, როგორ სდგას იგი კრიტიკის გარეშე და როგორი ღარიბია სცენა ტეხნიკის მხრით. მომხსენებელის აზრით თეატრის მოუწყობლობა და სივიწროვე ხალხში გულგრილობას ბადებს და დღეს თუ ხვალ თეატრზე ხელს აიღებენო, ამისთვის საჭიროა კარგი შენობის აგება, რომ ამითი უზრუნველყოფილი იქნეს ქართული სცენის აღორძინების საქმეცო. თეატრის აგება, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უნდა მოხერხდეს დაწესებულებებიდან შეკრებილი თანხით. თეატრის ასაგებად საჭირო ყოფილა 200-დან 300 ათას მანეთამდი. ბ. კრინიცკის აზრით ამდენი ფულის შეგროვება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ 3 წლის განმავლობაში ჩვენ შევაგროვებთ 100 ათას მანეთს რაც შეძლებას მოგვცემს საქმეს შევუდგეთო. აგრეთვე ჩვენ ქალაქმაც ნება უნდა დაგვრთოს ძველი თეატრი და ის ადგილი სადაც იგი სდგას გავყიდოთ რაც მოგვცემს 50 ათას მანეთს—ხოლო ახალი თეატრი უნდა გადავიდეს ქალაქის ხელში შემუშავებული პირობებითო. შემდეგ როცა ამ ფულს ხელთ ვიგდებთ, შენობას დავიწყებთ მას საადგილ-მამულო ბანკში დავაგირავებთ და ჩვენი საქმე გაიჩარხებაო. ბ. კრინიცკი აგრეთვე მით ხელმძღვანელობს, რომ ჩვენში 1000 კაცი ადვილად მოიძებნება, რომელნიც სამი წლის განმავლობაში ას-ას მანეთს გადაიხდიან. აგრეთვე ქ-ნი სარაჯიშვილისა დაგვეხმარება, რომელიც არა ერთხელ დაგვპირდაო. მომხსენებელს აგრეთვე მხედველობაში ის აქვს, რომ თეატრი უნდა აიგოს შემოსავლიან ადგილზე. ქვედა სართულში უნდა მოთავსდეს სავაჭროები და აგრეთვე ყველა ჩვენი კულტურული დაწესებულებანი. სათეატრო დარბაზმა უნდა დაიტიოს არა ნაკლები 2 ათასი კაცისა, აგრეთვე უნდა იქნეს ოქროს დაფა, რაზედაც უნდა დაიწეროს მათი სახელი დ გვარი რომელნიც არა ნაკლებ ასი მანეთისა შემოსწირავენო.

თავმჯდომარე მ. ფალავა. ბ. ლებულობთ თუ არა მოხსენებას?

პ. ყიფიანი. მოხსენების წინააღმდეგი პირადათ მე არა ვარ, მაგრამ ეს ჯერ უნდა განეხილა ქალაქის გამგეობას, და თავისი აზრი გამოეთქვა და თუ ჩვენ ეს არ გვეცოდინა ისე ვერაფერს ვერ დავადგენთ. ეხლა კი ქალაქი უნდა დაგვეთანხმოს ძველი თეატრის გაყიდვის შესახებ და ახალი თეატრის ბატონ-პატრონი იგი გახდება. კარგი იქნება რომ ამის შესახებ ბ. ქალაქის მოურავიც თავის აზრს გამოსთქვამდეს.

ი. მ. ჩიქოვანი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მე არ შემიძლიან წინდაწინ წარმოვიდგინო თუ რა მიმართულებას მიიღებს ეს საკითხი საბჭოში. ჩემის აზრით კი ძველი თეატრის ღირებულება უსათუოდ უნდა მოხმარდეს ახალი თეატრის აგების საქმეს. ქალაქი ხმარობდა ღონეს ახალი თეატრის ასაშენებლად, მაგრამ მოუხერხებელი შეიქნა. მე ვეცდები, რომ ძველი თეატრის ღირებულება ამ ახლად განზრახულ საქმეს მოხმარდეს.

ალ. კრინიცკი. დიდი სიამოვნებით უნდა მივიღოთ ბ. ქალაქის მოურავის განცხადება. ჩვენის აზრით ამის წინააღმდეგ არც საბჭო წავა, მაგრამ ეს უმთავრეს საგანს არ შეადგენს. ვსთქვათ მოგვცეს ამ თეატრის გაყიდვის ნება, ჩვენ მაინც ვერ გავყიდით, სანამ უმთავრეს თანხას—100 ათას მანეთს ვერ შევაგროვებთ. როდესაც ამ ფულს ვიშოვნით უნდა გამოვნახოთ შესაფერი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება თეატრის აგება. მამულის შეძენის შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან მივმართოთ ქალაქს და იმედიც მაქვს, რომ ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებენ ეხლა უნდა გამოვარკვიოთ, შეგვიძლიან თუ არა ეს თანხა შევკრიბოთ, შეგვიძლიან თუ არა გამოვძებნოთ ათასი კაცი ისეთი, რომ სამი წლის განმავლობაში თვითეულმა ას-ასი მანეთი გადაიხადოს? მე პირადად ბევრის დასახელება შემიძლიან, რომელნიც სიამოვნებით გადაიხდიან ას მანეთს. ამისათვის დაგვჭირდება დაინტერესებული აგენტები, რომელნიც თავის შრომას არ დაიზარებენ. არიან აგრეთვე ქველმოქმედნი, რომელნიც დახმარებას გვპირდებიან. ჩემის აზრით ეს საქმე სულ ადვილად განხორციელდება.

(შემდეგი იქნება)

კარგი წიგნი

(ბიბლიოგრაფია)

რუსულ ენაზე იშვიათად იწერება ჩვენს ავკარგიანობაზე. უკეთ ჯერ არა დაწერილა რა და თუ დაიწერა, ისიც ტენდენციური ხასიათისა, სადაც დაბალ ღირსების მოსაზრებით უფრო ხელმძღვანელობენ ხოლმე, ვიდრე ჩვენი სიყვარულით.

მაგრამ იშვიათ გამონაკლისთა შორის შეგვიძლიან მივუთითოდ ფრიად საყურადღებო წიგნზე აკაკი წერეთლის შესახებ. საზოგადოდ აკაკიზე ბევრი რამ გამოვიდა, მთელი კრებულებიც, როგორც მაგალითად „ალდონის“ სქელკანიანი გამოცემა, მაგრამ ყველა ამ გამოცემას სჩრდილავს ბ-ონ M. M.-ს წიგნი „Памяти Акакія Церетели“. წიგნი იმდენად საგულისხმიეროა, ისე ობიექტიურად იხილავს საგანს, რომ მისი თარგმნა თვით ქართველებშიც გამოიწვევს ინტერესს.

ხსენებულ წიგნში თქვენ ვერ ჰხედავთ არც მოჭარბებულ ფერადებს, არც თუ მაღალ ფარდოვან ფრაზეოლოგიას. იგი სადად ნაწერია. უმთავრესი ღირსება ეს გახლავთ. მეორე, ეს წიგნი მოკლედ და სხარტულად აკაკის ბიოგრაფიასთან ერთად აცნობებს ჩვენს ინტელიგენციის გონებრივ ზრდა-განვითარება-ავლა-დიდებას. რა იყო საქართველო მესამოცე წლებში, რა მიმართულება მიიღო ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, როგორ გამოვიდა აკაკი, რატომ გახდა იგი „ხალხის მეგობრად“ ანუ „ჩვენი აკაკი“-თ დ სხვა და სხვა.

ავტორი ხსენებული წიგნისა სწერს გრძნობით, უსაზღვრო სიყვარულით, ყოველი მისი სიტყვა ნაფიქრალი და ნაგრძნობია, განცდილი, გულთან მოტანილი. საკუთ ნიმუშებით სცდილობს გზა და გზა მკითხველი დაარწმუნოს, რომ მგოსნის შეფასება სიტყვიერი არ არის, რომ მართლა ქართველმა ერმა მის სახით დაჰკარგა არა მარტო ციური ჰანგების მგალობელი, არა მარტო ენის გამფაქიზებელი მესაიდუმლე, არამედ ქართველ ერთა უკანასკნელი გამაერთიანებელი სიმი, აკკორდი ჩვენი ეროვნული მთლიანობისა.

სასურველია წიგნი იგი ფართოდ იკითხებოდეს ჩვენს მწყურვალე საზოგადოებაში...

დ. კ—ძე.

პროვინციის ქრონიკა

დ. ლანჩხუთი (გურია)

ჯასტეხეს ადგილობრივ მოვაჭრის ლადიმერ გვარჯალაძის მაღაზია. ბოროტგამზრახველს მიხა დარჩიას ქურდობაზე მოასწრეს და დააპატიმრეს.

ქ. თელავი.

14 თებერვალს ალავერდის ეპისკოპოსმა პიროსმა პირველად სწირა თელავში—საკრებულო ტაძარში. მიუხედავად ცუდი ამინდისა ხალხი ბევრი დაესწრო. წირვაზე ხმაშეწყობით გალობდა თელ. სასულიერო სასწავლებლის გუნდი. წირვის შემდეგ ყოვლადსამღვდელო პიროსმა სიტყვა წარმოსთქვა.

ოზურგეთი.

8 ამ თვეს ხმოსანთა სრული შემადგენლობის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა საბჭოს მორიგი კრება.

— 9 და 10 ამ თვეს, აქ მოხდა ოზურგეთის მაზრის ცხენების რეკვიზიცა: სულ წაიყვანეს 89 ცხენი.

— 9 ამ თვეს ღამით ვიღაც ბოროტ გამზრახველთ მოინდომეს ძმ. სალუქვაძეების სავაჭროს გაქურდვა. დროზე მოასწრო ადგილობრივმა პოლიციამ და საქონლის წაღება ველარ მოესწროთ.

ს. ქვემო მაჩხაანი (სიღ. მაზ.)

აქაურ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. პირველ საჭიროების სანოვაგეს ზღაპრულ ფასებში ჰყიდიან. საჭიროა მოწინავე პირებმა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას და დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

ს. ჯუგაანი (სიღნაღ. მაზ.).

აქ უკვე მიიღეს ნებართვა მომხმარებელ საზოგადოების დაარსებისა და ამ ცოტა ხანში მოქმედებას დაიწყობენ. ჯერ-ჯერობით საზოგადოებას 60 წევრამდე ჰყავს.

ს. ცაიში (სამეგრელო).

კულტურულ დაწესებულებათა შორის აქ არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, აფთიაქი, აბანოები, რამდენიმე დუქანი, კოოპერატივი; ნება დართულია და ამ ახლო მომავალში განზრახულია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება, რომლისათვისაც ბლომა თანხაა მოგროვებული.

რუისი (გორის მაზრა).

მცხოვრებლები ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგან, როგორც საყოველთაოდ შარშან, მოსავალი აქაც ძალიან ნაკლებად მოვიდა. ეს რამდენიმე თვეა გამოწერილია რუსეთიდან ფქვილი, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ.

ს. ოლეში (შორ. მაზ.).

ს. ოლეშის მცხოვრებს გრიგოლ აბ. ცერცვაძეს გაუძარცვავს საყდრის ყულაბა. იგი ქურდობის დროსვე შეუპყრიათ.

ს. ჭალა (ზუგ. მაზ.).

თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწვა სოფლის სამართველო. ზარალი 1000 მანეთამდეა.

სოფ. ჯუგაანი.

ამ მოკლე ხანში მიიღებენ შაბიამანს, რომელიც გამოწერილი ჰქონდათ თბილისელ ვაჭრებიდან.

მაჰმადიანთა ცხოვრება

13 თებერვალს „ნიჯათი“-ს განმანათლებელ საზოგადოებამ გამართა ბაქოში მორიგი საღამო. საღამომ კარგათ ჩაიარა და მთელი შემოსავალი იყო 25,000 მანეთი. საღამოში სხვათა შორის მონაწილეობდნენ გამოჩენილი მომღერალი ქალი თამარა გრუზინსკი და მსახიობი შულგინი.

— ერევნიდან ატყობინებენ გაზ. „ზაკავკაზ. რეჩ“-ს რომ 12 თებერვალს აქ მოხდა მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება, რომელთაც დაადგინეს შეკრიბონ ფული და გახსნან ბავშვების თავშესაფარი. წევრთა შორის ჯერ-ჯერობით შეგროვდა 925 მან. ნახიჩევანიდან უკვე მიიღო საზოგადოებამ 600 მან. აგრეთვე ეწერებიან წევრებათ ადგილობრივი მაჰმადიანი ვაჭრები და შემოაქვთ თვითეულს 20—60 მან.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	. 8.53 საღ.
„	საფ. „	3	. 9.58 დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	. 10.20 საღ.
„	ჩქარი „	6	. 12.8 დღის
„	სამგ. „	8	. 11.13 ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	. 11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ. მ.	4	. 9.30 საღ.
„	სამგ. „	10	. 9.51 დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	. 9.3 დილ.
„	ჩქარი „	5	. 7.41 საღ.
„	სამგ. „	7	. 1.42 ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	. 8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან . .	10 „	42 „	„
იორიდან . . .	11 „	35 „	„
საგარეჯოდან . .	12 „	17 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	15	დღის
მელაანიდან . . .	2 „	37 „	„
გურჯაანიდან . .	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან . .	4 „	58 „	„
თელავში მიდის .	5 „	35 „	„
გურჯაანიდან . .	4 „	18 „	„
კარდენახიდან . .	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . .	9 „	45 „	„
გურჯაანიდან . .	10 „	46 „	„
მელაანიდან . .	12 „	02 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან . .	2 „	15 „	„
იორიდან . . .	2 „	53 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. .	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის .	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან .	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9 „	46 „	„
გურჯაანში მოდის	10 „	16 „	„

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ამავე საზოგადოებამ 13 თებერვალს გადასწყვიტა „ნავრუზ ბაირამის“ დღესასწაულის დღეს დაურიგონ ღარიბ ბავშვებს ხილი და თბილი ტანთსაცმელი.

სომეხთა ცხოვრება

ჟენევიდან „მშაკ“-ს ატყობინებენ, ჟენევაში გახიზნულ სომეხთათვის შეგროვდა ათი ათასი ფრანკიო. აქედან ორი ათასი ფრანკი კათოლიკოსს გაუგზავნეს ურმიის გახიზნულებისათვის.

— აზრუმიდან „ჰორიზონ“-ს ატყობინებენ: ქალაქში სომეხთა ოციოდე ღარიბი ოჯახი და ბევრი ბავშვი დარჩა. მაღაზიები და დუქნები გაძარცულია უმეტეს წილად სპარსელების მიერ. საეპარქიო სახლი დაიწვა. დარჩენილი სომხები ამბობენ, ამ ათი თვის წინად სომხები გადაასახლეს აზრუმიდანაო.

მუშათა შორის

კვარცხანა..

კვარცხანაში, როგორც ვიცით, არის სპილენძის ქარხანა, რომელშიაც რამოდენიმე ქართველი მუშაა. ზოგიერთი მუშა ჯარში გაიწვიეს, მუშებმა ქარხანის შენობაში დატოვეს ცოლშვილი, როგორც გავიგეთ ქარხის ადმინისტრაციამ მუშა-ჯარისკაცთა უმწეო [illegible] როგორც შემწეობას ამლევს და ამ ზამთარში ბინიდანაც ერეკება.

სამტრედია.

აქ არსებობს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც რამოდენიმე დღიური და თვიური მუშა არის. ამათი მდგომარეობა აუტანელია. დღიური ხელფასი 80 კ.—1 მ. არ აღემატება. მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა გადასწყვიტეს მომატება მოითხოვონ.

თეატრი და ხელოვნება

თბილისი.

დღეს, დილით, **სახალხო სახლში** გ. ჩუბინაშვილის თაოსნობით გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო დილა, „ძმური-ნუგეში“-ს სასარგებლოდ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დღეს, **ნაძალადევის თეატრში** დანიშნულია ელ. ჩერქეზიშვილის საპატივსაცემო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით დ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.
2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.
3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უილაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.
4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.
5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.
6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.
7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.
8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჰლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამოცის შესახვევი № 4.